

რას ნიშნავს „კოლანდიური დაკავლება“ და რატომ სურს ხელისუფლებას დაანბრიოს ეროვნული ბანკი?

გაზეთი “ყველა სიახლე” – 7-13 თებერვალი, № 6, 2008

საქართველოში კომერციული ბანკების დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით: „პროგრედიტ ბანკი“ და „ტაოპრივატბანკი“, „ინვესტბანკი“ და „ზირაათ ბანკი“... ერთი სიტყვით, ნამდვილი ბანკთაცვენაა. კომერციული ბანკების სიმრავლე სულაც არ ყოფილა ცუდის ნიშანი, როგორც ეს ზოგს ჰგონია. ამაში ეკონომიკის ექსპერტის, ლადო პაპავას კომენტარიც დაგარწმუნებთ:

– საქართველოში საბანკო სექტორი საკმაოდ განვითარებულია. ამ სისტემის აღმავლობა 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამის მიზეზი ეროვნული ბანკის გონივრული პოლიტიკაა, ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ნიჭიერი კადრების მოზიდვა და ა.შ. ასე, რომ ბანკების რაოდენობის ზრდაში, პირადად მე, ცუდს ვერაფერს ვხედავ. საზღვარგარეთ ნებისმიერ პატარა დასახლებაში შეხვედებით რამდენიმე კომერციული ბანკის ფილიალს.

– ბატონო ლადო, რა სარგებლობა მოაქვს მოსახლეობისათვის საბანკო ქსელის გაფართოებას?

– თუ ადრე მხოლოდ სესხის გამოტანა შეიძლებოდა ბანკიდან, დღეს ეს სისტემა ბევრი სხვა სახის მომსახურებას გვთავაზობს, მაგალითად, ხელფასებს საბარათე ანგარიშების საშუალებით გასცემენ, ელექტრონული ბარათებით ხდება ანგარიშსწორება ავთიაქებსა და სავაჭრო ობიექტებში.

– შეუწყო თუ არა ხელი საბანკო სექტორის განვითარებას ჩვენი მოქალაქეების საზღვარგარეთ გადინებამ?

– ალბათ, გულისხმობთ გადმორიცხვებს, რომელსაც ჩვენი თანამემამულეები

ახდენენ. მართალია, 2001 წელთან შედარებით, 2006 წელს ეს გადმორიცხვები 5-ჯერ გაიზარდა მაგრამ ქართველების გადინებას არ მოუხდენია გადამწყვეტი გავლენა საბანკო ქსელის განვითარებაზე. მათი რიცხვი არ არის იმდენად დიდი, რომ ამ თემაზე ლაპარაკი ღირდეს. ეს შეიძლება ითქვას სომხეთზე, უკრაინაზე, ისრაელზე, ამ ქვეყნების ეთნიკური მოსახლეობის სულ ცოტა ნახევარზე მეტი ხომ უცხოეთში ცხოვრობს.

– ბატონო ლადო, ჩვენს ხელისუფლებას ხშირად სდებენ ბრალს დოლარის ხელოვნურ გაუფასურებაში...

– ჩვენს მთავრობას ისედაც ბევრი ცოდვა აქვს და მოდი, ამასაც ნუ დავაბრალებთ. ხელისუფლებას სულაც არ აძლევს ხელს დოლარის გაუფასურება. პირიქით, ისინი ცდილობენ, ყველანაირად დაამუხრუჭონ ეს უსიამოვნო პროცესი. ეროვნულ ბანკს ეს პროცესი თავის დინებაზე ეროვნულ ბანკს შეეძლო ერთი დოლარი ერთი ლარის ტოლი ყოფილიყო. სხვათა შორის, დღეს, საქართველოს ეკონომიკა დაავადებულია „ჰოლანდიურ დაავადებით.“ გასული საუკუნის 1960-იან წლებში ჩრდილოეთის ზღვაში ბუნებრივი აირის დიდი მარაგი აღმოაჩინეს. ჰოლანდია გახდა ბუნებრივი აირის მსხვილი ექსპორტიორი, რამაც ქვეყანაში უცხოური ვალუტის დიდი ოდენობით შემოდინება გამოიწვია. ამას კი თავისთავად მოჰყვა ჰოლანდიური ფულის ერთეულის – გულდენის გამყარება და უცხოური ვალუტის გაუფასურება. ასეთ დროს ექსპორტი აღარ არის ისე მომგებიანი და უკეთესია იმპორტის განხორციელება, ანუ ეროვნული ვალუტის გამყარება უარყოფითი მოვლენაა ქვეყნის ეკონომიკისათვის. სწორედ ამას ეძახიან „ჰოლანდიურ დაავადებას“. მასთან საბრძოლველად მრავალი მეთოდი არსებობს.

– ჩვენში საიდან გავრცელდა ეს „დაავადება“? საქართველოში ხომ არც ნავთობი აღმოჩენილა და და არც ბუნებრივი აირი?

– ნავთობისა და გაზის ექსპორტი სულაც არ არის აუცილებელი. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, შეიძლება გამოიწვიოს „ჰოლანდიური დაავადება“. ბრაზილია

ყავის ექსპორტმა „დაასნეულა“, ეგვიპტე კი ტურიზმის განვითარებამ. ჩვენში „ჰოლანდიური დაავადების“ გამომწვევი მიზეზი ბოლო პერიოდში პრივატიზაცია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია: პრივატიზაციის პროცესში შემოდის უცხოური კომპანია, მას ძირითადად შემოაქვს დოლარები, მაგრამ მთავრობას უნდა გადაუხადოს ლარით. აი ასე ჩნდება მოთხოვნილება ლარზე. ერთადერთი გზა ეროვნული ბანკისათვის არის უცხოური ვალუტის შესყიდვა. თუ ასე არ მოხდა, ლარი კიდევ უფრო გამყარდება. ეს არის ყველაზე მისაღები ხერხი „ჰოლანდიური დაავადების“ უარყოფითი ეფექტების შესარბილებლად.

– ბატონო ლადო, რამდენად გამჭვირვალეა კომერციული ბანკების საქმიანობა ჩვენში?

– ვფიქრობ, რომ საკმაოდ გამჭვირვალეა. ისინი პერიოდულად აქვეყნებენ ინფორმაციას თავიანთი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მთელ რიგ ბანკებს აქვთ ვებ-გვერდები. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ინტერნეტით ნახოს ეს ინფორმაცია. ამას ემატება მუდმივი კონტროლი ეროვნული ბანკის მხრიდან. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა არ ჩანს ამა თუ იმ ბანკის დამფუძნებელი. ეს პრობლემა გამოჩნდა „სტანდარტბანკის“ შემთხვევაშიც. რაც შეეხება „პროგრესბანკს“, მის დამფუძნებლად ყველასათვის საყვარელი ფეხბურთელი – კახა კალაძე მოიაზრება, თუმცა არავინ იცის, ვინ ღვას მის უკან... ან თუნდაც მის გვერდით.

– მაინც რით არის მიმზიდველი ქართული საბანკო სექტორი უცხოელებისათვის?

– ახალ ქვეყნებში შესვლით უცხოური ბანკები აფართოებენ თავიანთ ქსელს. უცხოელი ბანკირების საქართველოში შემოსვლა ნიშნავს, რომ ჩვენში არის ის ფინანსური დისციპლინა, რომელიც აუცილებელია ამ სექტორის განვითარებისათვის.

– დასასრულ, რა ინტერესი აქვს ხელისუფლებას ქართულ საბანკო სექტორში?

– დღეს მას სურს დაანგრიოს, დაასუსტოს ეროვნული ბანკი და საბანკო ზედამხედველობა თვითონ ჩაიგდოს ხელში. უკვე მომზადებულია კანონპროექტი, რომელსაც პარლამენტში, ალბათ, თებერვალში განიხილავენ. ამ პროექტის მიხედვით უნდა შეიქმნას ცალკე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მართალია ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაში, მაგრამ ეროვნულ ბანკს საბოლოოდ წაერთმევა ეს ფუნქცია. მთავრობას სურს მოიპოვოს კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობა, რაც, ჩემი აზრით, სერიოზული შეცდომაა!

ხათუნა ჩიგოგიძე